რატომ გერმანული?

ფლაერი დამზადებულია გერმანული ენის მასწავლებელთა ასოციაციის (DVG) მიერ

Botschaft
der Bundesrepublik Deutschland
Tiflis

Österreichische
Botschaft
Tiflis

DAAD
Deutscher Akademischer Austauschdienst
გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური

DVG

Österreich - Bibliothek Tbilisi

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Schweizerische Botschaft in Georgien

GOETHE INSTITUT
Sprache. Kultur. Deutschland.

ძვირფასო მშობლებო,

თქვენი შვილები მე-5 კლასიდან დაიწყებენ მეორე უცხოური ენის შესწავლას.
გახსოვდეთ, რომ:

- მეორე უცხოური ენა არჩევითია. ის შეიძლება იყოს ნებისმიერი ენა;
- სკოლამ აუცილებლად უნდა შემოგთავაზოთ არჩევანი მინიმუმ ორ უცხოურ ენას შორის (ინგლისური ენა არ მოიაზრება, რადგან სავალდებულოა პირველივე კლასიდან).

თუ გერმანულ ენას აირჩევენ, თქვენს შვილებს ექნებათ შანსი,

- მიიღონ უმაღლესი განათლება უფასოდ გერმანიისა და ავსტრიის წამყვან უნივერსიტეტებში;
- დაეუფლონ სხვადასხვა პროფესიას, უფასოდ გააგრძელონ სწავლა გერმანულენოვან პროფესიულ სასწავლებლებში, პარალელურად გაიარონ სტაჟირება და დასაქმდნენ;
- გაიუმჯობესონ შანსები შრომის ბაზარზე გერმანულ და ავსტრიულ ფირმებთან როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებში;
- დასაქმდნენ გერმანიაში მოკლევადიან სტუდენტურ სამუშაოებზე და ჰქონდეთ საკუთარი შემოსავალი;
- მონაწილეობა მიიღონ საქართველოს გოეთეს ინსტიტუტისა და თბილისის ავსტრიული ბიბლიოთეკის მიერ შემოთავაზებულ გერმანული ენის შემსწავლელ კურსებში (A1-C2), ასევე საზაფხულო ბანაკებში, ოლიმპიადებსა და სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში;
- მოიპოვონ გერმანიისა და ავსტრიის აკადემიური გაცვლითი სამსახურების, ფონდებისა და პროგრამების (DAAD, KAAD, ERASMUS+, ÖAD და სხვ.) სტიპენდიები საზაფხულო კურსებისთვის, სამაგისტრო და სადოქტორო კვლევებისთვის;
- გაეცნონ გერმანულენოვანი ქვეყნების (გერმანია, ავსტრია, შვეიცარია) მრავალფეროვან კულტურას;
- ისარგებლონ უნიკალური შესაძლებლობით, ჩააბარონ გამოცდები და მიიღონ საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატები გოეთეს ინსტიტუტში, გერმანიის პარტნიორ სკოლებსა და თბილისის ავსტრიულ ბიბლიოთეკასთან არსებულ ÖSD-საგამოცდო ცენტრში.